

საბჭოთა დოქტრინალური ანტისემიტიზმი: გენეზისი და
ტრანსფორმაცია

რევაზ ქოიავა

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტზე პოლიტიკის მეცნიერების მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

პოლიტიკის მეცნიერება

სამეცნიერო ხელმძღვანელი: სერგო რატიანი, სრული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2014

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოუქვეყნებელ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

რევაზ ქოიავა

18. 06. 2014

აბსტრაქტი

კვლევა, რომელსაც მე ჩავატარებ, ეხება ანტისემიტიზმს საბჭოთა კავშირში და მის გავლენას თანამედროვე მსოფლიოში მიმდინარე პროცესებზე. საბჭოთა ანტისემიტიზმმა დაწყების დღიდან მიიპყრო მკვლევართა ყურადღება და იგი აქტუალურობას დღესაც არ კარგავს. საბჭოთა იდეოლოგია მისი განვითარების ეტაპებზე მუდმივ ტრანსფორმაციას განიცდიდა და ცდილობდა მმართველი ძალის პოლიტიკურ ინტერესებს მორგებოდა. იგი აქტიურად ითვისებდა სხვა იდეოლოგიებიდან აღებულ პრინციპებსაც, რისი მაგალითიც არის სოვეტიზმში 70-იან წლებში ნაციზმის ელემენტების შესვლა.

კვლევის მიზანია დაამტკიცოს, რომ საბჭოთა ანტისემიტიზმი არ იყო ცალკე არსებული ფენომენი და იგი რუსულ იმპერიულ-მესიანური იდეოლოგიის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენდა, რომელმაც არსებობა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომაც გააგრძელა. იდეოლოგიისა, რომელმაც ხელახალი აღორძინება 30-იან წლებში, სტალინის მმართველობის დროს დაიწყო. თანამედროვე ტრანსფორმაციაში ამ მესიანისტური იდეოლოგიის ნიშნები იკვეთება ევრაზიონიზმში და რადიკალურ ისლამიზმში. ორივე ეს იდეოლოგია თავისი არსით მესიანისტურია და ისინი საბჭოთა ანტისემიტიზმის მკვეთრად გამოხატულ ნიშნებს ატარებენ.

ჩემს ჰიპოთეზას ავხსნი მესიანისტური იდეოლოგიების შესახებ არსებული თეორიით, რომელიც სოციალურ მეცნიერებებში ბოლო პერიოდში გამოჩნდა. ეს თეორია აყალიბებს მესიანისტური იდეოლოგიისთვის დამახასიათებელ ძირითად ნიშან-თვისებებს. მესიანისტური იდეოლოგიები მუდმივ მოძრაობაში არიან და რეინკარნაციას განიცდიან. ამავდროულად ყოველი მათგანი თავის დროს დოქტრინალური ანტისემიტიზმის ცენტრს წარმოადგენდა. კვლევის დროს გამოვიყენებ პროცესის მიყოლის მეთოდს, რომელიც მიზნად ისახავს იმ ფაქტორების და წინაპირობების შესწავლას, რომლებიც პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს უძღვის წინ.

ძირითადი საძიებო სიტყვები: ანტისემიტიზმი, მესიანიზმი, საბჭოთა კავშირი

Abstract

The research focuses on Antisemitism in the Soviet Union and its influence on current political processes. Soviet Antisemitism has attracted the attention of researchers from its very beginning and has not lost its relevance until today. At different stages of its development, Soviet ideology experienced constant transformation and attempted to adapt to the interests of ruling elites. It actively adopted principles of other ideologies, the epitome of which is the entrance of Nazist elements into the Sovietism of 1970-s.

The research aims to prove that the Soviet Antisemitism was not a unique phenomenon and that it was an integral part of Russian imperial-messianic ideology, which existed even after the dissolution of the Soviet Union. The ideology, which revived in 1930-s, during Stalin's era. Today, signs of this ideology can be found in radical Islam and in Eurasianism. Both of these ideologies are messianic in essence and they carry clear signs of Soviet Antisemitism.

The recently emerged Social Science theory of Messianic Ideology will be applied to explain the research hypothesis. The theory consists of major characteristics of the messianic ideology. Messianic ideologies experienced constant change and reincarnation. At the same time, they served as the doctrinal center of Antisemitism. During the research process, I will employ the Process Tracing method, which entails exploration of factors and conditions, which precede political decisions.

Key Words: Antisemitism, Messianism, Soviet Union